შეფასების კრიტერიუმები

თხზულების მაქსიმალური ქულაა *30.* თუ დავალება **არაადეკვატურადაა გაგებული** ან მსჯელობა მხოლოდ ***ორი-სამი წინადადებით*** შემოიფარგლება, ანდა თხზულება ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ **აზრის გაგება ჭირს,** ***<u>დაიწერება 0 ქულა და აღარ გასწორდება</u>.***

I კრიტერიუმი

№	*დავალების ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალება ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	2
2.	დავალება ნაწილობრივ ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	1
3.	დავალება ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორ-დება

II კრიტერიუმი

№	*ტექსტის ორგანიზება*	*ქულები*
1.	ტექსტი ორგანიზებულია.	2
2.	ტექსტი ***კარგად არ არის*** ორგანიზებული.	1
3.	ტექსტი ***არ არის*** ორგანიზებული.	0

III კრიტერიუმი

№	*თხზულების დასათაურება*	*ქულები*
1.	შერჩეული სათაური ***ადეკვატური და ორიგინალურია.***	2
2.	სათაური ***ტრაფარეტულია*** ან/და ***ფორმალურად*** არის შერჩეული.	1
3.	სათაური შერჩეული ***არ არის*** ან/და ***არაადეკვატურია.***	0

IV კრიტერიუმი

№	*თხზულების შინაარსობრივი მხარე*	*ქულები*
1.	თხრობა ***საინტერესო და ორიგინალურია, სიღრმისეულადაა*** გააზრებული და გაანალიზებული დავალების პირობაში წარმოდგენილი თვალსაზრისი.	6
2.	თხრობა ***საინტერესოა,*** დავალების პირობაში წარმოდგენილი თვალსაზ-რისის შესახებ მსჯელობა მთლიანობაში ***დამაჯერებელია,*** თუმცა არგუმენტაცია არასაკმარისია.	5
3.	თხრობა ***საინტერესოა,*** თუმცა დავალების პირობაში წარმოდგენილი თვალსაზრისის შესახებ არგუმენტებს ***ცალკეულ*** შემთხვევებში ***დამაჯე-რებლობა აკლია.***	4
4.	თხრობა ***ნაკლებად საინტერესოა,*** დავალების პირობაში წარმოდგენილი თვალსაზრისის შესახებ მსჯელობა ***ზოგადია***.	3
5.	თხრობა ***ტრაფარეტულია,*** დავალების პირობაში წარმოდგენილი თვალსაზრისის შესახებ მსჯელობა **ზერელე** და **არადამაჯერებელია**.	2
6.	თხრობა ***ტრაფარეტულია,*** ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტები და/ან მაგალითები ***არაადეკვატურია***.	1
7.	***არ არის*** მსჯელობა დავალების პირობაში წარმოდგენილი თვალსაზრისის შესახებ**.**	0

V კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და შემოქმედებითი უნარი*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვ-ნება და შემოქმედებითი უნარი.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მისი შემოქმედებითი უნარი; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მისი შემოქმედებითი უნარი.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნებაც და შემოქმედებითი უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა მისი დამოუკიდებელი აზროვნება, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა შემოქმედებითი უნარი; ანდა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნება, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა შემოქმედებითი უნარი.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნება და შემოქმედებითი უნარი..	0

VI კრიტერიუმი

№	*ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა დავალების პირობაში წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, მოსწავლის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა დავალების პირობაში წარმოდ-გენილ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ცოდნა, მოსწავლის ინფორმირებულობა და ერუდიცია.	2
3.	ნაშრომში გამოვლინდა დავალების პირობაში წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებული პრობლემატიკის ***ზერელე*** ცოდნა.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა მოსწავლის ზოგადი განათლება.	0

VII კრიტერიუმი

№	ფაქტობრივი სიზუსტე	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ***ერთი ან მეტი*** ფაქტობრივი შეცდომა.	0

VIII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***შერჩეულია*** შესაფერისი სტილი, აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში ***შერჩეულია*** შესაფერისი სტილი, აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული და ***დაცულია*** ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება ***ორიოდე*** სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი ***გასაგებია,*** თუმცა ლექსიკა ***მწირია,*** გვხვდება ***რამდენიმე*** სტილისტური ხარვეზი.	1
4.	ნაშრომი ლექსიკურად და სტილისტურად ***გაუმართავია.***	0

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი*	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული ***ორზე მეტი*** შეცდომა.	5
2.	არ არის დაშვებული ***ოთხზე მეტი*** შეცდომა.	4
3.	არ არის დაშვებული ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	3
4.	არ არის დაშვებული ***რვაზე მეტი*** შეცდომა.	2
5.	არ არის დაშვებული ***ათზე მეტი*** შეცდომა.	1
6.	დაშვებულია ***ათზე მეტი*** შეცდომა.	0

X კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	*ქულები*
1.	არ არის დაშვებული ***სამზე მეტი*** შეცდომა.	3
2.	არ არის დაშვებული ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	2
3.	არ არის დაშვებული ***ათზე მეტი*** შეცდომა.	1
4.	დაშვებულია ***ათზე მეტი*** შეცდომა.	0